ორი შორეული დარტყმა

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 2 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (ქუთაისი) – 2:0 (1:0).

“დინამო”: სტეფანია, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ილიადი, მჭედლიშვილი, გავაშელი, ლ. ნოდია.

“ტორპედო”: გოგია, ჩხაიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი (ასიტაშვილი), ანფიმიადი (ქორიძე), ვეკუა, ხერხაძე, ქიქავა.

მსაჯი: გ. ბაღდასაროვი (ტაშკენტი).

დუბლიორები – 2:0 “ტორპედოს” სასარგებლოდ. ორივე გოლი გაიტანა ასიტაშვილმა.

მაყურებელთა საყოველთაო ინტერესს იწვევდა ორივე გუნდის მეკარეთა თამაში. გოგიას თბილისელი გულშემატკივრები დინამოელთა შემადგენლობაში შარშანდელი გამოსვლებით იცნობენ. მაგრამ ერთია, როცა ახალგაზრდა სპორტსმენი დუბლიორთა რიგებში თამაშობს, ხოლო სულ სხვაა, როცა იგი დიდ ასპარეზზე გამოვა და ძირითადი გუნდის პრესტიჟს იცავს. წლეულს გოგიამ საუკეთესოდ ჩაატარა რამდენიმე მატჩი და ტორპედოელთა წარმატებაში გარკვეული წვლილიც აქვს შეტანილი.

რაც შეეხება სტეფანიას, თბილისის “დინამოს” კარი მას ანდეს იმიტომ, რომ გუნდის ძირითადი მეკარეები ურუშაძე და კოტრიკაძე დაშავდნენ და საჭირო გახდა მეკარის მოწვევა გორის “დილიდან”.

და მაყურებელმა უკვე მატჩის დაწყებიდან ათიოდე წუთის შემდეგ იხილა ორივე ახალგაზრდა მეკარის შესანიშნავი მონაცემები, დიდი პოტენციური შესაძლებლობანი. ლაპარაკია არა მეკარის ტაქტიკურად სწორ, დაკვირვებულ თამაშზე, რაც ჩვეულებრივ წლებსა და გამოცდილებას მოაქვს, არამედ კარის დარაჯის სპეციფიკურ მონაცემებზე, სისწრაფეზე, რეაქციაზე, გაბედულებაზე და ა.შ. სტეფანიამ ერქომაიშვილისა და ხერხაძისგან, ხოლო გოგიამ – გავაშელისა და ნიდიასაგან ბურთები ისეთი ნახტომებით აიღეს, რომ ტრიბუნების ხანგრძლივი ტაში დაიმსახურეს. რა გვეთქმის მადლობის მეტი, თუ ჩვენს გუნდებს პირველხარისხოვანი მეკარეები გაეზრდებათ.

პირველი ტაიმი საკმაოდ უფერულად მიმდინარეობდა, თუმცა, როგორც ზევით მოგახსენეთ, მეკარეებს უსაქმობა არ აწუხებდათ. ანგარიში გაიხსნა 35-ე წუთზე. ტორპედოელებმა წესი დაარღვიეს და მათს კარში დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან დაინიშნა საჯარიმო. კუტივაძის დარტყმულმა ბურთმა უდიდესი ძალით გადაუქროლა კედელს და როცა გოგიამ მას თვალი მოჰკრა, უკვე გვიან იყო.

შესვენების შემდეგ თამაში გაცილებით საინტერესო გახდა. ქუთაისელებმა ტემპს მოუმატეს, თავდამსხმელებმა რამდენიმე კარგი კომბინაცია წამოიწყეს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში, მეტოქის საჯარიმო მოედანზე, ისინი უზუსტოდ თამაშობდნენ და კარგავდნენ ბურთს. ამას გარდა, შეტევას ჩამორჩებოდნენ ნახევარმცველები.

მიმდინარეობდა მატჩის 59-ე წუთი. შუა მინდორზე ბურთი რეხვიაშვილს ჩაუვარდა. სავსებით მოულოდნელად, როცა იმ ზონაში ჩვეულებრივ კომბინაციას იწყებენ ხოლმე, რეხვიაშვილმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო და ძლიერად დაარტყა კარში. გოგია სახტად დარჩა და ბურთი ვერ მოიგერია.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 5 მაისი, 1970 წ.